საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-486

05/06/2019

ქ. თბილისი

შპს „ნაგუთი 2014“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „აგო 2019“-ზე ნაწილობრივ გადაცემის შესახებ

2019 წლის 17 აპრილს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ნაგუთი 2014“-ისა და შპს „აგო 2019“-ის დირექტორებმა. შპს „ნაგუთი 2014“-მა ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემა შპს „აგო 2019“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამ გადაწყვეტილების მიღება.

2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდის (ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტზე 2019 წლის 4 თებერვალს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-105 (04.02.2019). აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიამ არსებულ ტექნოლოგიურ ხაზს დაუმატა კიდევ ერთი ტექნოლოგიური ხაზი. ორივე ტექნოლოგიური ხაზისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული ობიექტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. ორივე გამამდიდრებელ საწარმოს აქვს დამოუკიდებელი სალექარი. საერთოა კუდების შლამების, მადნის და კონცენტრატის სასაწყობო ტერიტორია და ადმინისტრაციული შენობა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში გადაწყვეტილების მფლობელი და პირი, რომელსაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცემა, პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისთვის.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიების მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმად, საწარმოში არსებული პირველი, 2015 წლიდან არსებული ტექნოლოგიური ხაზი გადაეცემა შპს „აგო 2019“-ს, ხოლო მეორე, 2019 წელს დამატებული ტექნოლოგიური ხაზი გადაეცემა შპს „მნ პლიუსს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ნაგუთი 2014“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (მანგანუმის მადნის გამდიდრების) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირველი ტექნოლოგიური ხაზი (2015 წლიდან არსებული) გადაეცეს შპს „აგო 2019“-ს;
2. შპს „აგო 2019“-მა საწარმოს ექსპლუატაცია (2015 წლიდან არსებული ტექნოლოგიური ხაზი) უზრუნველყოს გზშ-ს ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
3. შპს „აგო 2019“-მა ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით;
4. შპს „აგო 2019“-მა უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლებისა და ავტოტრანსპორტის რეცხვისას წარმოქმნილი წყლების ჩართვა საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ სალექარში და გამწმენდი ნაგებობის ტექნიკურ გამართულობაზე სისტემატიური კონტროლის დაწესება.
5. შპს „აგო 2019“-მა უზრუნველყოს საწარმოს ფუნქციონირება სრული ბრუნვითი (ჩაკეტილი) წყალმომარაგების სისტემის გამოყენებით;
6. შპს „აგო 2019“-მა ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად და კარიერიდან წამოსული მანქანების ძარის და საბურავების გარეცხვა საწარმოს ტერიტორიაზე;

7. შპს „აგო 2019“-მა უზრუნველყოს ნედლეულის, შლამებისა და კუდების ტრანსპორტირება ტექნიკურად გამართული ძარაგადაფარებული ავტოტრანსპორტის საშუალებით და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, ასევე ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი იყოს ტვირთის გარემოში გაბნევისგან სრული დაცვა;
8. შპს „აგო 2019“-მა გადაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს საწარმოს ექსპლუატაციის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება, მონიტორინგის წერტილებისა და მონიტორინგის სიხშირის/პერიოდის მითითებით (ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და ხმაურის მონიტორინგი დამატებით უახლოესი მოსახლის გათვალისწინებით) და სამინისტროში წარმოდგენა;
9. შპს „აგო 2019“-მა გადაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის წარმოდგენა სამინისტროში შესათანხმებლად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად;
10. შპს „აგო 2019“-მა ექსპლუატაციის პერიოდში საწარმოს მდ. ყვირილასთან სიახლოვის გათვალისწინებით, განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიება, წარმოების პროცესიდან მდინარის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით;
11. შპს „აგო 2019“-მა ავარიული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, ჩამდინარე წყლების ავარიული ჩაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს ცხელ ხაზზე;
12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება გაეგზავნოს შპს „ნაგუთი 2014“-სა და შპს „აგო 2019“-ს;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნაგუთი 2014“-ისა და შპს „აგო 2019“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი